პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 181

10 ივლისი,
სამშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტთა სპორტკლუბების საკავშირო თამაშები



ფავორიტებმა იმედი გაამართლეს

ერთი ოქროს, ერთიც ბრინჯაოს მედალი... მოფარიკავეთა ნებისმიერი შეჯიბრების პირველ დღეს ამგვარი ჯილდოების მოპოვებას ყოველ გუნდს დიდ წარმატებად ჩაუთვლიან, მაგრამ თუ საქმეში ჩახედული ხალხი იმასაც იტყვის, მეტი შეეძლოთო, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ გუნდის წევრები აშკარა ფავორიტები იყვნენ.

სტუდენტური სპორტკლუბების საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მოფარიკავეთა შეჯიბრების პირველ დღეს, ასპარეზობის დასკვნით ნაწილში ქართველმა სპორტსმენებმა დავით თურქიამ და თემურ ბოჭორიშვილმა შესანიშნავად იბრძოლეს... როგორც იცით, შეჯიბრება ხმლით მოფარიკავეებმა გახსნეს. ისიც გაცნობეთ, რომ ფინალის საგზური თურქიამ და ბოჭორიშვილმა მოიპოვეს (ზურაბ გაგნიძეს სულ ცოტა დააკლდა ფინალში მოსახვედრად). ჩვენი გუნდის და საერთოდ სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო ნაკრების ლიდერი პაიჭაძე კი დიდხანს უმკლავდებოდა მეტოქეთა იერიშს და... მუხლის აუტანელ ტკივილს. მეტოქეებმა ვერაფერი დააკლეს, მაგრამ მუხლმა ძალიან შეაწუხა და ბოლოს ისეთ დღეში ჩავარდა, თანაგუნდელებმა ხელით გაიყვანეს სარბიელიდან. გულშემატკივრებმა იგი ტაშით გააცილეს და იმედიანი მზერა თურქიას და ბოჭორიშვილს მიაპყრეს. უნდა ითქვას, რომ გულშემატკივრებს იმედი თითქმის მთლიანად გაუმართლდათ: ფინალის პირველ შეხვედრაში თურქიამ დამაჯერებლად დაამარცხა უკრაინელი მიხეილ ბაბკიევი (10:5), ხოლო მისმა თანაგუნდელმა—მოსკოველი ალექსეი ჩიკოვი (10:6). მეორე შეხვედრაში თურქიას პირისპირ ძლიერი უკრაინელი სპორტსმენი იური კუზნეცოვი დადგა, მაგრამ ორთაბრძოლა მაინც ქართველი მუშკეტერის უპირატესობით წარიმართა. დაახლოებით თანაბარი დებიუტის შემდეგ იგი სამი დარტყმით დაწინაურდა და კუზნეცოვი კარგა ხანს ამ „საპატიო მანძილზე“ ჰყავდა. ბრძოლის მიწურულს დავითმა კიდევ ორი იერიში მიიტანა მეტოქეზე და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა (10:5). ამ გამარჯვებით თბილისელმა სპორტსმენმა პირველი ადგილისათვის ბრძოლის უფლება მიიღო. ჩვენი გუნდის გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ ფინალში მისი მეტოქე ბოჭორიშვილი იქნებოდა. როგორც შეჯიბრების მსვლელობისას გამოჩნდა, ეს იმედი არ იყო საფუძველს მოკლებული — ქართველი სპორტსმენი ალექსანდრე საიგინთან შეხვედრის მიწურულს ორი დარტყმით იყო წინ (8:6), მაგრამ, როგორც ჩანს, ნერვებმა უმტყუნა, ზედიზედ 4 დარტყმა მიიღო და დამარცხდა (8:10). სამაგიეროდ მესამე ადგილისათვის გამართულ შეხვედრაში ველარ იცნობდით. ეს მართლაც ნერვების ორთაბრძოლა იყო, რაზეც ანგარიშის ცვლაც მეტყველებს: 8:8, 9:9, 10:10, 11:11. უკიდურესი დაძაბულობა ქართველი სტუდენტის ორმა ზუსტმა დარტყმამ განმუხტა (13:11) და თემურ ბოჭორიშვილი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

დავით თურქიას და სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო ნაკრების წევრის, ლენინგრადელი ალექსანდრე საიგინის ორთაბრძოლის პირველი ნახევარი ძალიან ჰგავდა ბოჭორიშვილ—კუზნეცოვის „დუელს“. მეტოქეები კარგა ხანს ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. შემდეგ ჩვენი მუშკეტერი დაწინაურდა (7:6, 8:6). გამოცდილმა ლენინგრადელმა მოფარიკავემ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. თურქია მღელვარებას ველარ მალავდა. მეგობრები, გულშემატკივრები ურჩევდნენ, მოუწოდებდნენ... სპორტსმენმა შეძლო თავის დათრგუნვა, მეტოქეს ორი გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა (10:8) და მყისვე თანაგუნდელთა და მწვრთნელთა გარემოცვაში მოხვდა. ჩემპიონი დიდხანს იღებდა მილოცვებს. აღსანიშნავია, რომ თურქიაც და ბოჭორიშვილიც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები არიან და ორივეს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გურამ ლორთქიფანიძე ავარჯიშებს.

დავით თურქიას ოქროს მედალთან ერთად გადასცეს შესანიშნავი ქართველი მუშკეტერის, იუნიორთა შორის საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონის მალხაზ ადეიშვილის სახელობის პრიზი. მალხაზ ადეიშვილი, უაღრესად ნიჭიერი სპორტსმენი, ოცი წლის წინ გარდაიცვალა, მაშინ, როდესაც სპორტული დიდების მწვერვალისაკენ მიმავალ გზაზე იდგა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ამ პრიზის დაწესებით პატივი სცეს ჭაბუკი მუშკეტერის ხსოვნას.

ასპარეზობის მეორე დღეს ბრძოლაში რაპირისტები ჩაებნენ. ჩვენი გუნდის ღირსებას იცავდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ზურაბ აფციაური და ზაზა დოლიძე, უნივერსიტეტის წარმომადგენლები რამაზ გიორგაძე და რევაზ ხუციშვილი და აგრეთვე ნოდარ დარჩია (ფიზკულტურის ინსტიტუტი). სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა ფინალამდეც კი ვერ მიაღწია. დოლიძე და ხუციშვილი ასპარეზობას მეორე ეტაპზე გამოეთიშნენ, დარჩია—მესამეზე. გიორგაძემ და აფციაურმა ნახევარფინალის საგზურები კი მოიპოვეს, მაგრამ იქ ხელი მოეცარათ. პირველმა ორი ბრძოლა წააგო და ფინალის მიღმა დარჩა. გიორგაძემ თავიდან კარგად დაიწყო (ბაქოელ არკადი სარქისოვს აჯობა — 10:4), მაგრამ დამარცხდა ალმაათელ სერგეი ბარანოვთან (5:10), შემდეგ სარქისოვის თანაგუნდელ პეტრე მორდუხაევთან სანუგეშო ბრძოლაც წააგო და მანაც მაყურებლებში გადაინაცვლა.

ელტა-ინფორმაცია

გუშინ საღამოს ხმლით მოფარიკავეები კვლავ გამოვიდნენ სარბიელზე. ამჯერად ისინი გუნდური პირველობისათვის იბრძოდნენ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა გიორგი პაიჭაძემ ვერ იასპარეზა და ბრძოლის მთელმა სიმძიმემ ფიზკულტურის ინსტიტუტის ოთხ სტუდენტს დავით თურქიას, თემურ ბოჭორიშვილს, ზურაბ გაგნიძეს და დავით ხიტარის მხრებზე გადაიარა, თუმცა ოთხკაციანი გუნდი, რომელშიც ერთი ჩემპიონი და ერთი პრიზიორი ირიცხება, საკმაოდ დიდი ძალაა. ჩვენმა მუშკეტერებმა ზედიზედ სძლიეს ყაზახეთის (9:6) და რსფსრ-ის გუნდს და პირველი ადგილისთვის ბრძოლაში მოსკოველთა ხუთეულს დაუპირისპირდნენ. ფინალურ შეხვედრაში ჩვენი რესპუბლიკის ყველა სპორტსმენმა კარგად იბრძოლა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც თურქიამ გამოიჩინა თავი. 21 წლის სპორტსმენმა სამივე შეხვედრა მოიგო. საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა ანგარიშით 9:8 დამარცხა მეტოქე და გუნდური პირველი ადგილისთვის განკუთვნილ პრიზს დაეუფლა. მესამე ადგილზე რსფსრ-ის სპორტსმენები გავიდნენ.

გიორგი ჩოჩიშვილი.

• • •

სურათზე: ხმლით მოფარიკავეთა შორის გამარჯვებული დავით თურქია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ბუდაპეშტი უძლიერეს ფალავანთა საინტერესო შეჯიბრების მოლოდინშია: 13-15 ივლისს აქ გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში „მეგობრობა-84“, რომელშიც სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებთან ერთად მსოფლიოს მრავალი სახელოვანი ათლეტებიც გამოვლენ.

უძლიერეს „კლასიკოსთა“ ფორუმი

„მეგობრობა-84“

სპეციალისტთა საერთო აზრით, ეს იქნება „კლასიკოსთა“ ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი თავყრილობა მიმდინარე სპორტულ სეზონში. სარბიელზე გამოვლენ ბოლო წლების ყველა უმნიშვნელოვანეს ასპარეზობათა ლაურეატები. საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობამ უკვე დაამტკიცა გუნდის საბოლოო შემადგენლობა: თბილისელი თემო ყაზარაშვილი (48 კგ), ერევნელი ბენურ ფაშაიანი (52), ტაშკენტელი კამილ ფატკულინი (57), მინსკელები კამანდორ მანჯიტოვი (62) და მიხეილ პროკუდინი (68), მოსკოველი მიხეილ მამიაშვილი (74), ქუთაისელი თეიმურაზ აფხაზავა (82), ვიტებსკელი იგორ კანიგინი (90), მოსკოველები ნიკოლაი ბალბოშინი (100) და ევგენი არტიუხინი (+100).

როგორც ხედავთ, საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მოხვდნენ მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, აგრეთვე, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულნი. გუნდში ყველაზე ტიტულოვანია მსოფლიო ხუთგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 35 წლის ბალბოშინი. მან ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ჯერ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში, შემდეგ საკავშირო ჩემპიონატშიც გაიმარჯვა. მართალია, ბალბოშინი ევროპის ბოლო ჩემპიონატზე მხოლოდ მესამე იყო, მაგრამ მწვრთნელებმა მაინც ის ამოარჩიეს. 35 წლისაა არტიუხინიც — შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი. გუნდის კაპიტანი იგორ კანიგინი მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ტრიუმფატორია. ასეთივე ტიტულებს ფლობენ თეიმურაზ აფხაზავა და ბენურ ფაშაიანი, ისინი იშვიათი სტაბილურობით გამოირჩევიან და კარგა ხანია არც ერთ შეჯიბრებაში არ დამარცხებულან. თავიანთ წონით კატეგორიებში უდავო ფავორიტები არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები თემო ყაზარაშვილი და მიხეილ მამიაშვილი, აგრეთვე ევროპის 1984 წლის ჩემპიონი, 27 წლის ფატკულინი. მწვრთნელებს ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენების — მაჯიტოვისა და პროკუდინის დიდი იმედი აქვთ. მაჯიტოვმა წლეულს ევროპის ჩემპიონატში გაიმარჯვა პროკუდინმა — საკავშირო პირველობაში.

საბჭოთა ნაკრების გარდა უდავოდ ძლიერი იქნება ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შემადგენლობა. ცხადია, ბუდაპეშტის ტურნირში ტონის მიმცემნი სწორედ სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები იქნებიან.

ინფორმაცია

მაგიდის ჩოგბურთი

ფხენიანში გრძელდება მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ჩატარდა შეჯიბრებები ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგში. კარგად ითამაშა საბჭოთა ჩოგბურთელი ქალების ორივე წყვილმა. მათ ჩამოიტოვეს ძლიერი მეტოქეები და ნახევარფინალში გავიდნენ.

ვ. პოპოვამ და ნ. ანტონიანმა დაამარცხეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები კიმ ენ ხი და ლი სუნ ბოკი — 2:0, მერე კი ასეთივე ანგარიშით მოუგეს შეხვედრა ჩინელებს ფან ცზიანინს და დუნ ფეიმინს. ფ. ბულატოვამ და ა. ზახარიანმა შეხვედრა მოუგეს ჯერ ჩეხოსლოვაკიელთა ძლიერ წყვილს მ. გრახოვასა და ა. პელიკანოვას (2:1), მერე კი — იაპონელებს ი. შიმაუცის და მ. სუზუკის (2:0).

შერეულ წყვილთა შეჯიბრების ნახევარფინალში საბჭოთა გუნდის ღირსებას დაიცავენ ვ. პოპოვა და ა. მაზუნოვი, რომლებმაც ერთნაირი ანგარიშით (2:1) დაამარცხეს ვიეტნამელები ტუან ანი და ნგუენ ტი მა, აგრეთვე იაპონელები მ. კიმურა და მ. სუზუკი. შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ჩინეთის წარმომადგენლებთან — ცზია ნინთან და ფან ცზიანინთან.

დანარჩენი საბჭოთა წყვილებიდან ვ. შევჩენკომ და ნ. ანტონიანმა პირველ ორ შეხვედრაში დაამარცხეს ჯერ ტენ ინ ჩერი და იუ სუნ ბოკი (2:1), მერე — ტ. დემეკი და ლიმ ენ ხი (ჩეხოსლოვაკია — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, 2:0), შემდეგ კი წააგეს ჩინელთა წყვილთან ცი ბაოსუასთან და გუ ვანიიუნთან.

ამგვარად, ვაჟთა და ქალთა პირად შეჯიბრებაში მხოლოდ მ. გრახოვა დაიცავს მაგიდის ჩოგბურთის ევროპული სკოლის ღირსებას.

რეგბი

რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ჯილდოებისთვის ბრძოლას, როგორც ცნობილია, უმაღლესი ლიგის რვა უძლიერესი გუნდი განაგრძობს. მორიგი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — სსა (მონინო) — 11:8, „სლავა“ (მოსკოვი) — ასკ (ალმა-ათა) — 21:10, „ავიატორი“ (კიევი) — „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) — 24:9. „სახლმშენისა“ და „ფილის“ მატჩი გადატანილია 19 აგვისტოსათვის.

ტურნირში კვლავ ლიდერობენ გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის რეგბისტები — 40 ქულა. მეორე ადგილზეა „ავიატორი“ — 36. 35-35 ქულა აქვთ მოსკოვის კლუბებს „ლოკომოტივსა“ და „სლავას“.

ტანვარჯიში

კიევში დამთავრდა ტანმოვარჯიშეთა ფინალური ასპარეზობა სტუდენტთა საკავშირო საზაფხულო თამაშების პროგრამით. გამარჯვება ნოვოკუზნეცკის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტკლუბის ტანვარჯიშული სკოლის გუნდმა. მომავალმა პედაგოგებმა ყველას აჯობეს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა პირად ტურნირებში. აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვეს ვლადიმერ სიმაკოვმა (111,95 ქულა) და ირინა სმაგინამ (74,15). ვაჟთა შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი ხვდა ვლადიმირის ცნობილი სკოლის აღზრდილს, ადგილობრივი პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს სერგეი სიყანოვს — 111,75. III ადგილზე გავიდა ტაშკენტის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ალავეტდინ ათაჰანოვი—111,5. ქალთა შეჯიბრებაში მეორე იყო მოსკოველი ოლგა ჩეპიკი — 73,9. III ადგილი დაიკავა კიეველმა ოლგა კოზირმა — 73,8.

გუნდურ ტურნირში პირველობა არავის დაუთმეს ნოვოკუზნეცკის პედაგოგიური ინსტიტუტის ტანმოვარჯიშე ვაჟებმა (293 ქულა) და მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალებმა (279). საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველნი იყვნენ რუსეთის ფედერაციის სტუდენტები.

მძლეოსნობა

მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე, სადაც არმიელ და დინამოელ მძლეოსანთა პირველობა ტარდება, მოსკოველმა სერგეი როდინმა 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა ერთ-ერთი ყველაზე „ძველი“ საკავშირო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში. მან 837 სმ გადალახა (საუკეთესო შედეგი ევროპის სტადიონებზე წლევანდელ სეზონში). უწინდელი რეკორდი, რომელიც 1967 წელს იყო დამყარებული, ეკუთვნოდა საბჭოთა მძლეოსანთა ნაკრების ამჟამინდელ მთავარ მწვრთნელს იგორ ტერ-ოვანესიანს.

ტიმ სევერინი: დიახ!



ჩინეთამდე — სინის ქვეყნამდე —„სოჰარს“ შვიდი ზღვა ჰქონდა გასავლელი: ფარისი, ლარვი, ჰარკანდი, კალაჰ-ბარი, სალაჰათი, კუნდრანგი და კანჰაი. ფარისი დღევანდელი სპარსეთის ყურეა, ლარვი — არაბეთის ზღვა, ჰარკანდი — ბენგალიის უბე, კალაჰბარი — ანდამანის ზღვა, სალაჰათი — მალაკის სრუტე; კუნდრანგი და კანჰაი კი სამხრეთ ჩინეთის ზღვაა, რომელსაც არაბი ზღვაოსნები ორ ზღვად ყოფდნენ.

პირველ სამ კვირაში „სოჰარმა“ გამოიარა ფარისი, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაჰრა ლარვი და დეკემბრის შუა რიცხვებში ლაკადივის არქიპელაგის კუნძულ ჩეთლათზე შეჩერდა. ეს სწორედ ის არქიპელაგია, საიდანაც ტიმ სევერინმა „სოჰარის“ მშენებლები ჩაიყვანა სურში. რამდენიმე დღეში მეოცე საუკუნის სინდბადები ინდოეთის მალაბარის სანაპიროს მიადგნენ. „სოჰარმა“ ღუზა ბეიპურში ჩაუშვა. აქ სევერინმა მთელი ტონა ტილო იყიდა და იალქნების ახალი კომპლექტი დაამზადებინა. ძველი კომპლექტი უკვე საკმაოდ გაცვეთილიყო მასკატიდან ბეიპურამდე. ახალი იალქნები ტრიუმში დააბინავეს და „სოჰარი“ ისევ გავიდა ღია ზღვაში.

1981 წლის 21 იანვარს ექსპედიცია კუნძულ შრი-ლანკას მიადგა და მის სამხრეთით მდებარე პორტ ჰალეში გადმოხდა. შრი-ლანკას არცთუ შორეულ წარსულში ცეილონი ერქვა, უფრო ადრე, სინდბადის ეპოქაში, იგი სერენდიბის სახელით იყო ცნობილი. ზღაპრების მიხედვით, სინდბადი თავისი შვიდი მოგზაურობის დროს ორჯერ სწვევია ლეგენდარულ სერენდიბს. ერთ-ერთი ვერსიით, მეშვიდე მოგზაურობისას სინდბადი სერენდიბზე მეკობრეებს ჩავარდნია ხელში. მათ იგი მონად მიუყიდიათ სპილოს ძვლით მოვაჭრისათვის, რომელიც სინდბადს აიძულებდა ყოველდღე თითო სპილო მოეკლა და მისი ეშვები თავისი პატრონისთვის მიეტანა. ბოლოს და ბოლოს სპილოებმა სინდბადს თავიანთი სასაფლაო აჩვენეს, სადაც ეშვები თავსაყრელად იყო და მასაც ამიერიდან აღარ სჭირდებოდა სპილოების ხოცვა, ისე მიჰქონდა ეშვები მოვაჭრისათვის.

ჰალეში ეკიპაჟის ორმა წევრმა დატოვა „სოჰარი“. მათ ნაცვლად ექსპედიციას შეუერთდნენ მყვინთავი ტიმ რედმანი, ექიმი ნიკ ჰოლისი და ფოტოგრაფი რიჩარდ გრინჰილი.

ბენგალიის უბეში სევერინი სამხრეთ-დასავლეთის მუსონის იმედზე იყო, რომელსაც მისი ხომალდი ინდოჩინეთის ნახევარკუნძულისა და მალაკის სრუტისაკენ უნდა წაეყვანა. მაგრამ მთელი სამი კვირის განმავლობაში „სოჰარს“ დრეიფი მოუხდა ეკვატორის სიახლოვეს, არნახულ სიცხეში. ისეთი შტილი იდგა, ხომალდი მთელი დღეები ადგილიდან არ იძვროდა. ყოველივე ამან დამატებითი პრობლემები შეუქმნა მეზღვაურებს.

ტიმ სევერინი: „მე უკვე მაფიქრებდა სასმელი წყლის მარაგი. ახლა ჩვენ მტკნარ წყალს მხოლოდ სასმელად და კერძის მოსამზადებლად ვხმარობდით. მარაგის ნახევარზე მეტი უკვე დახარჯული გვქონდა. ყველას ვუბრძანე მინიმუმამდე შეემცირებინათ სასმელი წყლის რაციონი. ამისთვის ყველაზე კარგი საშუალება იყო ჩრდილს შევფარებოდით, მაგრამ მზე პირდაპირ ზენიტში იდგა — „სოჰარი“ ჩრდილოეთის განედის 2 გრადუსზე მოხვდა შტილში — ჩვენს მომჩვარულ აფრებს ჩრდილი თითქმის არ ჰქონდა“.

მარტის დასაწყისში ნამდვილი ტროპიკული წვიმა მოვიდა და მეზღვაურებმა გაფისული იალქნით მოაგროვეს წვიმის წყალი. მართალია, რეზერვუარებში წყლის მარაგი შეივსო, მაგრამ მთელი თვის განმავლობაში შტილი კვლავ ერთ ადგილს ატკეპნინებდა „სოჰარს“. აქ კი თვალნათლივ გამოჩნდა, რატომ ითვლებოდა შტილი აფრებიანი ხომალდების ეპოქაში შტორმზე სასტიკ განსაცდელად.

5 აპრილს, როგორც იქნა, გამოჩნდა დაგვიანებული მუსონი და აფრებდაბერილი „სოჰარი“ სუმატრისაკენ გაუდგა გზას. მაგრამ ასე ნანატრმა მუსონმა ახალი განსაცდელი დაატეხა თავს მეზღვაურებს: გროტ-ანძამ ვერ გაუძლო ქარის ერთ-ერთ ძლიერ შემოტევას და რეი ასანთის ღერივით გადატყდა. ეკიპაჟის რამდენიმე წევრი სასწაულებრივად გადაურჩა ვეება რანგოუტის ქვეშ გასრესას; ძლიერ ქარში მეზღვაურებმა ძლივს მოახერხეს ავარიის შედეგების ლიკვიდაცია და გროტის მაგივრად სათადარიგო ბიზანი დააყენეს. კიდევ კარგი, სევერინმა ჯერ კიდევ მალაბარის სანაპიროებზე წინდახედულად შეაკერინა აფრების ახალი კომპლექტი.

15 აპრილს „სოჰარი“ მალაკის სრუტეში შევიდა.

ტიმ სევერინი: „მალაკის სრუტე დერეფანია, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს ახლო და შორეულ აღმოსავლეთს და რომელშიც გაცხოველებული სატრანსპორტო მოძრაობაა. ტონს იძლევიან ძირითადად ტანკერ-ნავთობმზიდები, რომლებიც იაპონიის პორტებს ემსახურებიან. ის იყო მივუახლოვდით სრუტეს, რომ ცხრა თუ ათი ვეება გემის გარემოცვაში აღმოვჩნდით. შემდეგ ქარმა ყველაფერს წვიმის ფარდა ჩამოაფარა და გემები თვალთაგან დავკარგეთ. ჩემი თავი ქვეითად მოსიარულე მეგონა, რომელსაც თვალები აუხვიეს და კოკისპირულ წვიმაში ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე შეაგდეს. საბედნიეროდ, „სოჰარმა“ მშვიდობიანად გაიარა სახიფათო ადგილი... სამი დღის შემდეგ ჩვენ ბოლოს და ბოლოს შევედით სუმატრის ჩრდილოეთის მდებარე პატარა კუნძულის საბანგის პორტში. ღია ზღვაში 55-დღიანი ცურვის შემდეგ საბანგი ჩვენ ისეთივე სამოთხედ გვეჩვენა, როგორადაც ეჩვენებოდათ იგი ჩვენს წინამორბედებს წარსულში...“

კუნძულ საბანგზე ტიმ სევერინმა წესრიგში მოიყვანა უკვე საკმაოდ ნათრევ-ნაგვემი ხომალდი. ადგილობრივი მკვრივი ხისაგან ახალი რეი გამოთალეს, რომელიც ძველს თითქმის არაფრით არ ჩამოუვარდებოდა. ეკიპაჟმა დაისვენა. ზღვის ბიოლოგებისა და ფოტოგრაფებისათვის კი საბანგზეც ბევრი სამუშაო იყო.

მაისის დასაწყისში „სოჰარმა“ ინდონეზიიდან კურსი მალაკის ნახევარკუნძულისაკენ აიღო და ერთი თვის შემდეგ სინგაპურში შევიდა. აქ სევერინი სულ ორიოდე დღით გაჩერდა, რადგან ტაიფუნების სეზონი ახლოვდებოდა და აჩქარება იყო საჭირო, რომ მშვიდობით გაევლოთ სამხრეთ ჩინეთის ზღვა. ჩვეულებრივ ციკლონი ამ ადგილებს ივლის-ოქტომბერში ეწვევა ხოლმე, მაგრამ ზოგიერთი „სულსწრაფი“ გრიგალი უკვე მაის-ივნისში აკეთებს თავის საქმეს.

სინგაპურიდან გასული „სოჰარი“ ოთხი დღის განმავლობაში მშვიდად მიდიოდა თავისი კურსით, მეხუთე დღიდან მოყოლებული კი ეკიპაჟი ძალთა სრული მობილიზებით ებრძოდა ქარს, რომელიც სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა გრიგალს.

სამხრეთ ჩინეთის ზღვაში სხვა საშიშროებაც ელოდათ თანამედროვე სინდბადებს: ისევე როგორც ასწლეულების წინათ, აქ დღესაც დათარეშობენ მეკობრეები, დათარეშობენ და განურჩევლად ძარცვავენ ხომალდებს — დიდსა თუ პატარას. ოღონდ, თავიანთი წინაპრებისაგან განსხვავებით, დღევანდელი ფლიბუსტიერები სწრაფი გემებით მიმოდიან და უახლესი ტექნიკით არიან შეიარაღებული. სამხრეთ ჩინეთის ზღვაში შესვლის წინ კაპიტანმა სევერინმა თავისი ეკიპაჟის ყველა წევრი საგანგებოდ შეაიარაღა პირატებთან მოსალოდნელი შეტაკებისათვის. საბედნიეროდ, იარაღის გამოყენება საჭირო არ გახდა — მეკობრეებმა ვერ შენიშნეს „სოჰარი“, ან იქნებ შენიშნეს კიდეც, მაგრამ მეტად მჭლე ლუკმად მიიჩნიეს.

ტაიფუნმაც დაინდო სევერინი და მისი ექსპედიცია. იგი მხოლოდ 13 ივლისს დაატყდა თავს ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებს. ორი დღით ადრე კი, 1981 წლის 11 ივლისს, „სოჰარი“ მდინარე სიცზიანს აჰყვა აღმა და ღუზა გუანჯოუს პორტში ჩაუშვა.

შვიდთვენახევრიანი ცურვა წარმატებით დამთავრდა. „სოჰარმა“ ექვსი ათასი საზღვაო მილი გაიარა და ექსპედიციამ დაამტკიცა, რომ სინდბადის შესახებ არსებულ ზღაპრებს რეალური საფუძველი აქვთ, რომ არაბ ზღვაოსნებს ხელეწიფებოდათ საკმაოდ რთული ნაოსნობა ინდოეთის ოკეანესა და მიმდებარე ზღვებში. ტიმ სევერინმა, როგორც მეცნიერმა და მოგზაურმა, კიდევ ერთი თვალსაჩინო ფურცელი ჩაწერა ექსპერიმენტული ნაოსნობის ისტორიაში.

როგორ ჰგავდა და როგორ არ ჰგავდა „სოჰარის“ ექსპედიცია „ბრენდანით“ მოგზაურობას! ამჯერად მეზღვაურებს სიცივე და ყინვა კი არა, სიცხე აწუხებდათ; თუ ჩრდილოეთ ატლანტიკაში ისინი მარტოობამ გატანჯა, აზიის სანაპიროებთან გამუდმებით გრძნობდნენ თანამედროვე გემებთან შეტაკების საშიშროებას. ერთი სიტყვით, „სოჰარით“ მოგზაურობა ისევე რთული გამოდგა, როგორც „ბრენდანით“ ცურვა, მაგრამ აქ სხვაგვარი სირთულეები იყო, სხვაგვარი სიძნელეები, სხვაგვარი გაჭირვება...

ალბათ „სოჰარის“ შემდეგაც გაიმეორებდა ტიმ სევერინი „ბრენდანის“ შემდეგ ნათქვამ სიტყვებს:

„თვითონვე ვუსვამ ჩემს თავს კითხვას, რომელსაც, ვიცი, მომავალში არაერთხელ დამისვამენ: „როცა უკვე იცით, რა სიძნელეები და გაჭირვება გელით, კიდევ თუ წახვიდოდით მსგავს ნაოსნობაში? თუ იგი გაგვამდიდრებს ცოდნით, თუ საშუალებას მოგვცემს უკეთ შევიცნოთ წარსული და თუ თავიდან ბოლომდე ჩვენი მეგზური ასეთივე ენთუზიაზმი, ასეთივე მხარდაჭერა იქნება, ჩემი პასუხი ასეთია: დიახ!“

მართლაც, „სოჰარის“ შემდეგ ტიმ სევერინი ახალმა იდეამ გაიტაცა: მან გადაწყვიტა აეგო ძველბერძნული „არგოს“ ასლი და არგონავტთა ლეგენდარული თუ ისტორიული გზა გაემეორებინა. ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმას ბევრი აღარაფერი აკლია. რამდენიმე კვირაში სევერინის „არგო“ საქართველოს სანაპიროებს მოადგება. ჩვენ საშუალება გვექნება უფრო ახლოს გავიცნოთ სახელოვანი მეცნიერი და მოგზაური, ვესაუბროთ მას და მკითხველსაც დაწვრილებით ვუამბოთ მისი მესამე ექსპედიციის შესახებ. ამიტომ, მოდით, თხრობა აქ დროებით შევწყვიტოთ და ტიმ სევერინის ჩამოსვლას დავუცადოთ.

პაატა ნაცვლიშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 121, 124, 125, 130.

ჯერ ყველაფერი წინაა

პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირში, როგორც ცნობილია, 18 გუნდი ასპარეზობს. მათ შორის ექვსი უძლიერესი (ვოლგოგრადის „დინამო“, სვერდლოვსკის „ურალმაში“, როსტოვის „დონი“, მოსკოვის „დინამო“, სიმფეროპოლის „სპარტაკი“ და ფრუნზეს „სტროიტელი“) უმაღლესი ლიგის ორი საგზურისათვის იბრძვის.

ამას წინათ დონის როსტოვში ჩატარდა ფინალისტთა ექვსეულის პირველი წრის მატჩები. ვოლგოგრადის „დინამომ“ დამაჯერებლად მოიგო ყველა შეხვედრა და დააგროვა 10 ქულა. ლიდერს მხოლოდ ქულით ჩამორჩება სვერდლოვსკის „ურალმაში“, მეორე წრის შეხვედრები გაიმართება სვერდლოვსკში 10-17 ივლისს, მესამე წრისა კი სიმფეროპოლში — 7-13 აგვისტოს.

პირველი ლიგის დანარჩენი თორმეტი გუნდი ასპარეზობას ერთ წრედ ატარებს. ჯერჯერობით გაიმართა მხოლოდ პირველი ტურის შეხვედრები. ტირასპოლის ჯგუფში გამოდიოდნენ: ლენინგრადისა და მოსკოვის „ბურევესტნიკი“, დნეპროპეტროვსკის „სტალი“, მოსკოვის „სპარტაკი“, კიშინიოვის „ინქდორსტროი“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) კალათბურთელები. დღეისათვის უკეთესი მდგომარეობა აქვთ კიშინიოვისა და ლენინგრადის გუნდებს, თუმცა თითო შეხვედრა მათაც წააგეს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს მხოლოდ ორი გამარჯვება აქვს. პირველი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ინქდორსტროი“	5	4	1	327-285	9
„ბურევ.“ ლდ.	5	4	1	353-287	9
„სტალი“	5	3	2	289-299	8
სპი	5	2	3	283-282	7
„ბურევ.“ მ.	5	1	4	244-328	6
„სპარტაკი“	5	1	4	277-292	6

ტაშკენტის ჯგუფში ასპარეზობდა მეორე ექვსეული (ადგილობრივი სკიფ-ი, აბოვიანის „ადისი“, კუიბიშევის „ბურევესტნიკი“, ესენტუკის „სპარტაკი“, ბაქოს „არაზი“ და გომელის „ლუჩი“). აქ ყველა შეხვედრა მოიგეს ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
სკიფ-ი	5	5	0	352-297	10
„ადისი“	5	4	1	443-315	9
„ბურევესტ.“	5	3	2	322-317	8
„სპარტაკი“	5	2	3	317-344	7
„არაზი“	5	1	4	329-338	6
„ლუჩი“	5	0	5	255-362	5

დასკვნითი ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან ტირასპოლისა და ტაშკენტის ჯგუფების ექვსეულები, ჩატარდება კუიბიშევში 10-17 ივლისს. ბოლო ორ ადგილზე გამოსული გუნდები დატოვებენ პირველ ლიგას.

„ივერია“ თორმეტგზის ჩემპიონია

მოტობურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია დოსააფის რუსთავის სტადიონზე გამართულმა საქართველოს ჩემპიონატმა, რომელშიც ბათუმის, ქუთაისის, თელავისა და თბილისის სამი გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ივერია“ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის „პოლიტექნიკოსი“. დაძაბული ორთაბრძოლა მოიგეს „ივერიის“ მოტობურთელებმა — 2:0 და მეთორმეტედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონი გუნდის ჩამოყალიბებასა და წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის ამ საქმის ენთუზიასტს ნოდარ შონიას, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე დიდი ენერგიითა და მონდომებით ხელმძღვანელობს კოლექტივს.

აგვისტოში „ივერია“ ჩაებმება საკავშირო პირველობის გათამაშებაში, რომელიც ბაქოში გაიმართება.

ამირან გოკელავაძე.

სურათზე: ასპარეზობის მომენტი.

საბჭოთა კავშირის პირველობა

I ლიგა

დასასრულს უახლოვდება I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების I წრე. გასულ შაბათს გაიმართა ბოლოსწინა, XXI ტურის შეხვედრები, რომლის შედეგებმა საგრძნობლად შეცვალა ლიდერთა ჯგუფში მყოფი ჯგუფების მდგომარეობა.

ვოლგოგრადის „როტორმა" წინა ტურში, როგორც ცნობილია, დიდი ანგარიშით წააგო ლვოვში ასკ „კარპატისთან" — 0:8. ამის შემდეგ ვოლგოგრადელებმა შინ მიიღეს ლიგის ლიდერი ვორონეჟის „ფაკელი" და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. მარცხი განიცადა ლვოველთა გუნდმა, რომელმაც მეტად უიღბლო სტარტის შემდეგ მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა, მაგრამ 7 ივლისს სმოლენსკში წააგო „ისკრასთან" — 0:1.

ქუთაისის „ტორპედოს", რომელიც წლეულს წარმატებით იბრძვის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საგზურისათვის, მეტად ძნელი მატჩი ჰქონდა ნიკოპოლში, ადგილობრივ „კოლოსთან". დაძაბული ბრძოლა დამთავრდა საკმაოდ უჩვეულო ანგარიშით — 4:4.

კარგად ითამაშეს ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელებმა ომსკში, ადგილობრივი „ირტიშის" წინააღმდეგ. „გურიამ" გაიმარჯვა — 2:0.

ბათუმის „დინამო" ზაპოროჟიეში შეხვდა ზონის ერთ-ერთ ლიდერს — ადგილობრივ „მეტალურგს" და დამარცხდა — 3:5.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: ასკ (ხაბაროვსკი) — „ზვეზდა" (ჯიზაკი) — 5:2, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „პამირი" (დუშანბე) 2:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 3:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „დაუგავა" (რიგა) 1:1.

დღეს I ლიგაში მთავრდება პირველი წრის მატჩები. ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართება ზაპოროჟიეში, სადაც ადგილობრივი „მეტალურგი" მიიღებს ქუთაისის „ტორპედოს". ლანჩხუთის „გურია" კემეროვოში შეხვდება „კუზბასს", ხოლო ბათუმის „დინამო" — ნიკოპოლში „კოლოსს". საინტერესოა კიდევ 2 მატჩი: „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ფაკელი" (ვორონეჟი), „შინიკი" (იაროსლავლი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი).

გათამაშების ცხრილი

I ლიგა

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფაკელი"	20	14	3	3	32-13	31
„ტორპ." ქ.	20	11	5	4	43-24	27
„მეტალურ."	20	10	6	4	38-20	26
„ყუბანი"	20	12	1	7	31-18	25
„ლოკომოტ."	20	9	7	4	24-17	25
ასკ „კარპ."	20	10	4	6	35-17	24
„დაუგავა"	20	8	8	4	35-24	24
„პამირი"	20	9	5	6	25-21	23
„ისკრა"	20	7	7	6	15-20	21
„ტავრია"	20	6	8	6	21-22	20
„კუზბასი"	20	7	5	8	21-22	19
„გურია"	20	5	9	6	20-23	19
„როტორი"	20	8	2	10	28-37	18
„შინიკი"	20	5	8	7	23-23	18
„ნისტრუ"	20	5	7	8	17-32	17
„სპარტაკი"	20	6	4	10	20-23	16
„დინამო" ბ.	20	5	6	9	18-30	16
„ზვეზდა"	20	6	3	11	18-29	15
„ზარია"	20	4	7	9	20-26	15
ასკ ხ.	20	4	7	9	17-28	15
„კოლოსი"	20	4	7	9	20-32	15
„ირტიში"	20	2	7	11	11-31	11

II ლიგა

7 ივლისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, XVIII ტურის კალენდარული მატჩები.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:1 (0:0)

თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში საინტერესოდ მიმდინარეობდა, თბილისელებიც და ფოთელებიც ძალას არ იშურებდნენ, თუმცა „კოლხეთმა" უფრო ენერგიულად ითამაშა, ტაქტიკური მრავალფეროვნებაც გამოავლინა. სტუმრები თავს კარგად იცავდნენ და იერიშზეც სწრაფად გადადიოდნენ. ორივე გუნდის ფეხბურთელებმა რამდენიმეჯერ შორი მანძილიდან სცადეს კარის აღება, მაგრამ მათი დარტყმები ერთობ არაზუსტი გამოდგა.

48-ე წუთზე „ლოკომოტივის" კარში დაახლოებით 20 მეტრიდან დაინიშნა საჯარიმო. ლაცაბიძემ ძლიერად, ზუსტად დაარტყა და ბურთი მეკარე ჰანტურიას კარში გაიტანა. შემდგომში ლოკომოტიველებს საპასუხო გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ სტუმრების მცველებმა კარგად გაართვეს თავი სიძნელეებს.

რამდენიმე სიტყვა რუსთაველ არბიტრ მოზყუხინზე. სათამაშო წესების დარღვევას იგი დროულად ამჩნევდა, ზუსტად რეაგირებდა და კარგად ერკვეოდა ძნელ სიტუაციებშიც, მაგრამ დისციპლინის დამრღვევთ ვერ უმკლავდებოდა. ორივე გუნდის ფეხბურთელები ხშირად უხეშობდნენ, საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების დროს სისტემატურად არღვევდნენ 9-მეტრიან დისტანციას, ხმაურობდნენ. წესრიგი არ იყო სტადიონზეც: ორივე გუნდის კარებს უკან და გვერდით ხაზებთან თავი მოეყარათ გუნდების წარმომადგენლებსაც და უცხო პირებსაც, მსაჯს კი ერთხელაც არ მიუქცევია ამისათვის ყურადღება. მოზყუხინმა უნდა იცოდეს, რომ საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩის ჩატარების დროს სრული წესრიგი უნდა სუფევდეს როგორც სათამაშო მინდორზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, მსაჯის ავტორიტეტი უფრო მეტად უნდა იგრძნობოდეს თამაშის დროს.

ოტია ჟორდანია,
საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი.

„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 2:1 (1:1)

ძველ მეტოქეთა პრინციპული შეხვედრა დაიწყო სპარტაკელების სწრაფი იერიშებით. პირველივე წუთებში სამტრედიელთა მეკარე ორდენიძეს ძნელი ბურთების მოგერიება მოუხდა ასლანიანისა და მეგრაბიანისგან. სტუმრებს კარგახანს ეპყრათ ინიციატივა, მაგრამ ლოკომოტიველებმა თანდათან, მეთოდურად გამოასწორეს მდგომარეობა და იერიშზეც გადავიდნენ. 39-ე წუთზე გერაძე-დვალიშვილი-იობიძის სწრაფი კომბინაცია ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით დამთავრდა, თუმცა მალე გრიგორიანმა აღადგინა თანაფარდობა — 1:1.

შესვენების შემდეგ სამტრედიელები გააქტიურდნენ. ისინი განუწყვეტლივ უტევდნენ. 65-ე წუთზე კარანაძემ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ოქტემბერიანელთა კარში — 2:1.

ამ მატჩში უჩვეულო რამ მოხდა: „სპარტაკის" მეკარე მელქონიანმა თავის საჯარიმო მოედანზე მეტისმეტად უხეშად ეთამაშა გერაძეს, რისთვისაც მოსკოველმა არბიტრმა ა. მუშკოვეცმა იგი მინდვრიდან გააძევა. სტუმრებმა თავიანთი მინდვრის მოთამაშე, რომელმაც მელქონიანის ადგილი დაიკავა, სათადარიგო მეკარით შეცვალეს.

ანზორ სირაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„მეშახტე" (ტყიბული) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 2:0 (1:0)

ტყიბულელმა ფეხბურთელებმა ამ ბოლო დროს შესამჩნევად გამოასწორეს სატურნირო მდგომარეობა და ახლაც, ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან, მთელი მონდომებით ითამაშეს. აშხაბადელებიც საკმაოდ ხშირად ახორციელებდნენ კონტრიერიშებს, „მეშახტის" მცველები უნარიანად იცავდნენ თავს და სწრაფად გაჰყავდათ წინ თავიანთი თავდამსხმელები. ქების ღირსია მეკარე თოდაძეც.

პირველი ბურთი თამაშის 35-ე წუთზე გაიტანა ტროიანმა, შესვენების შემდეგ კი, 50-ე წუთზე, ტროიანმა კარგად გადააწოდა გაგნაშვილს და „სტროიტელის" კარში მეორე გოლი გავიდა.

აშხაბადელთა ცდას გარდატეხა შეეტანათ თამაშში, შედეგი არ მოჰყოლია, „მეშახტემ" დამსახურებულად გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ტყიბულელთა გუნდს ახალი უფროსი მწვრთნელი ჰყავს — სპორტის ოსტატი ჯ. ხერხაძე.

ელბერდ ბაქრაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„დილა" (გორი) — „ოლიმპია" (არტაშატი) 1:0 (0:0)

„ოლიმპიამ" წინა ტურში სამტრედიის „ლოკომოტივთან" მატჩში მძიმე მარცხი იწვნია (0:7), ამიტომ მთელი ძალით ითამაშა გორში. მართალია, „დილას" საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, არტაშატელთა კართანაც არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ტაიმი მაინც უშედეგოდ დამთავრდა.

უკომპრომისო, დაძაბული ბრძოლა არც მეორე ტაიმში შეწყვეტილა. თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 53-ე წუთზე არტაშატელთა კარში ბესთაევმა გაიტანა.

ილია თევდორაშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო" (სოხუმი) — „ხაზარი" (ლენქორანი) 3:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) 3:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 2:0, „არაზი" (ნახიჩევანი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 4:0.

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოტაიკი"	16	12	2	2	36-14	26
„დილა"	16	8	4	4	24-18	20
„ლოკომ." ს.	16	9	1	6	23-16	19
„კოლხოზჩი"	16	9	1	6	17-14	19
„მერცხალი"	16	8	3	5	15-11	19
„კოლხეთი"	16	7	5	4	24-22	19
„დინამო" ს.	16	8	2	6	22-19	18
„შირაკი"	16	7	4	5	20-13	18
„ქიაფაზი"	16	8	1	7	26-20	17
„სპარტაკი"	16	7	2	7	19-20	16
„ყარაბახი"	16	6	2	8	19-25	14
„მეშახტე"	16	5	4	7	19-18	14
„არაზი"	16	5	3	8	15-17	13
„ავტომობ."	16	5	3	8	19-23	13
„ლოკომ." თბ.	16	5	2	9	16-23	12
„ხაზარი"	16	4	3	9	8-19	11
„ოლიმპია"	16	1	2	13	7-37	4

მსაჯობაში წვრილმანი არ არსებობს

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებს სისტემატურად ვესწრები, ვცდილობ, შეძლებისდაგვარად, არ გამომრჩეს ეგრეთწოდებული „მეორეხარისხოვანი" თამაშებიც კი.

ფეხბურთში, იქნება ეს რომელიმე გადამწყვეტი მატჩი თუ შედარებით ნაკლები მნიშვნელობის თამაში, სპეციალისტი, ფეხბურთის მოყვარული, მით უმეტეს, მსაჯი, ყოველთვის იპოვნის რაიმე საყურადღებოს, ჭკუის სასწავლებელს.

ამ წერილში მინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა რესპუბლიკურ შეჯიბრებათა მატჩების მსაჯობაზე. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ უვარგისი მსაჯობა უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდა სპორტსმენის ჩამოყალიბებაზე, საერთოდ, ფეხბურთის განვითარებაზე. ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა საყვედურები ჩვენი მსაჯების მისამართით, როგორც წესი, ჩივიან წაგებული გუნდების მწვრთნელები და ხელმძღვანელები. იშვიათად ვინმემ თქვას — მოვიგეთ, მაგრამ მსაჯობა არ ვარგოდაო. მომჩივანნი საყვედურობენ, რომ მათს კარში უსამართლო პენალტი დანიშნეს, ან პირიქით — მეტოქის მხარეს 11-მეტრიანი ნაღდად იყო, მაგრამ არბიტრმა წესის აშკარა დარღვევას ყურადღება არ მიაქცია და მათი გუნდი დაჩაგრა. მათი პრეტენზიები მუდამ ტრაფარეტულია.

მართალია, მსაჯები საკმაოდ ხშირად ცდებიან და მეტწილად — მასპინძელთა სასარგებლოდ, მაგრამ განა მართებული იქნება წაგებულმა გუნდებმა თავიანთი ყველა წარუმატებლობა მსაჯებს გადააბრალონ? სამწუხაროდ, ბევრი მწვრთნელი თავის უხეირო მუშაობას მსაჯების არაობიექტურობას აბრალებს და ცდილობს თავი ამით გაიმართლოს ხელმძღვანელობის წინაშე, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ჩვენი მსაჯები ხშირად ცდებიან, რაც მარტო პენალტების დანიშვნაში და უხეში თამაშის ფიქსირებაში არ გამოიხატება. ამიტომ მინდა რამდენიმე რჩევა მივცე ახალგაზრდა მსაჯებს. ისინი მეტად საპასუხისმგებლო, საინტერესო საქმეს ემსახურებიან, მეც ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას დამრიგებელივით ვესაუბრო მათ.

დავიწყოთ იმით, რომ მსაჯი მოვალეა თამაშის წინ გულდასმით შეამოწმოს სათამაშო მინდორი, მოედნების დახაზულობა, კარების ბადეები, ალმები, გასახდელები, დარწმუნდეს არის თუ არა სტადიონზე ექიმი, თამაშის დაწყების წინ გასინჯოს ორივე გუნდის დოკუმენტაცია, ფეხბურთელთა ბარათები, შეამოწმოს მოთამაშეთა ჩაცმულობა, განსაკუთრებით — მათი ნომრები. უწესრიგობის ყოველი გამოვლენა მსაჯმა აუცილებლად უნდა შეიტანოს მატჩის ოქმში. შეიძლება მოხდეს ისე, რომ გუნდის ორ მოთამაშეს ერთი და იგივე ნომერი აწერია მაისურზე. მწვრთნელებს ასეთ დროს ათასგვარი მიზეზი მოჰყავთ, მაგრამ მსაჯმა კატეგორიულად უნდა მოითხოვოს, რათა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა აუცილებლად შეიცვალოს ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან ერთ-ერთი ასეთი ფეხბურთელი მაისურის გამოცვლამდე არ უნდა დაუშვას მინდორზე, თუნდაც გუნდი შემცირებული შემადგენლობით გამოვიდეს მინდორზე.

მსაჯმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიწყოს თამაში, როცა მაყურებლები გვერდით ხაზების ან კარის ახლოს დგანან. სანამ მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელები წესრიგს არ დაამყარებენ სტადიონზე, მსაჯმა თამაში არ უნდა დაიწყოს, შემდეგ კი შესაბამისი პატაკი წარუდგინოს შეჯიბრების ჩამტარებელ ორგანიზაციას.

განსაკუთრებული ყურადღება და მომთხოვნელობა მართებს მსაჯს 11-მეტრიანი საჯარიმოს დარტყმის დროს. ამ დროს კარს უკან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იდგეს ვინმე — არც მწვრთნელი, არც სათადარიგო მოთამაშეები, არც მაყურებლები. სანამ მსაჯის მოთხოვნა არ შესრულდება, თამაში არ განახლდება და თუ წესრიგი არ დამყარდა, მსაჯს სრული უფლება აქვს საერთოდ შეწყვიტოს მატჩი.

თვით თამაშის დროს მსაჯმა და მისმა თანაშემწეებმა თვალი უნდა ადევნონ მოთამაშეთა გარეგნულ ფორმას, რადგან მაისურამოჩრილი ფეხბურთელი არც ისე სასიამოვნო სანახავია. არბიტრმა მინდვრიდან უნდა დაითხოვოს უხეიროდ ჩაცმული ფეხბურთელი, სანამ იგი ფორმას წესრიგში არ მოიყვანს.

უხეშობის ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო გამოვლინების დროს არბიტრმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს გადამჭრელ ზომებს. თუ მან ეს დროულად არ გააკეთა, თუ მყისვე არ აღკვეთა უხეშობა, შემდგომში სულ უფრო და უფრო გაუჭირდება მინდორზე წესრიგის დამყარება. გამოცდილებით ვიცი, რომ დაგვიანებით მიღებული ზომები ხშირად, პირიქით, ზედმეტად ანერვიულებს, აღიზიანებს ფეხბურთელებს, ხელს უწყობს უდისციპლინობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს მსაჯის გარეგნობას. მას უნდა ეცვას კარგად მორგებული, სუფთა, ლამაზი ფორმა, ფიზიკურადაც საუკეთესოდ უნდა იყოს მომზადებული, დაუღალავად და სწრაფად იმოძრაოს მინდორზე, არ ჩამორჩეს თამაშის ტემპს.

ხშირად ხდება, რომ ტაიმებს შორის, შესვენების დროს, მსაჯთა ოთახში თავს იყრიან პირები, რომელთაც არავითარი ოფიციალური კავშირი არა აქვთ არც მსაჯებთან, არც უშუალოდ მატჩთან. მსაჯი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაება მათთან კამათში. მან სტადიონის ადმინისტრაციას, მიმღებ გუნდს კატეგორიულად უნდა მოთხოვოს უცხო პირების გაყვანა ოთახიდან.

ფეხბურთის მსაჯობაში წვრილმანი არ არსებობს. როგორც წესი, ერთი შეცდომა, თუნდაც უმნიშვნელო, ბადებს მეორეს, ამიტომ მსაჯი ვალდებულია გულისყურით მოეკიდოს ყველაფერს, რაც კი თამაშს ეხება.

როგორც ხედავთ, ამ წერილში არ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ თეორიულად, მეთოდურად როგორ უნდა იყოს მომზადებული არბიტრი. ეს სხვა, გაცილებით რთული თემაა, ის კი, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მსაჯებს სულ ადვილად შეუძლიათ შეასრულონ, არც ერთ მსაჯს არ გაუჭირდება, ვთქვათ, 11-მეტრიანი დარტყმის დროს კარს უკან არ გააჩეროს ვინმე, მინდორზე არ გამოუშვას ერთი გუნდის ორი მოთამაშე ერთნაირი ნომრით, საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას დაიცვას 9-მეტრიანი დისტანცია.

ვიმეორებთ — ფეხბურთის მსაჯობაში უმნიშვნელო რამ არ არსებობს, ყველა უსიამოვნება წვრილმანით იწყება. მსაჯი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იყოს პრინციპული, მომთხოვნი, შეუვალი.

თითოეული საფეხბურთო მატჩი მსაჯისთვის სერიოზული გამოცდაა, იქნება ეს რესპუბლიკური ჩემპიონატი, თუ ათი-თორმეტი წლის ბავშვების თამაში. მსაჯი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, მის შეცდომებს მტკივნეულად განიცდიან ფეხბურთელებიც, მაყურებლებიც, ამიტომ მან ყველაფერი უნდა იღონოს, რათა საერთოდ არ დაუშვას რაიმე შეცდომა.

ნესტორ ჩხატარაშვილი,
საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის საპატიო მსაჯი.

„სეზონის თასი" — დონეცკელებს

8 ივლისს დნეპროპეტროვსკში გაიმართა 1984 წლის „სეზონის თასის" საპასუხო მატჩი ადგილობრივი „დნეპრისა" (ჩემპიონი) და დონეცკის „შახტიორის" (თასის მფლობელი) ფეხბურთელთა შორის.

მეტოქეები პირველად 5 ივლისს, დონეცკში შეხვდნენ ერთმანეთს. მასპინძლებმა დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. ახლა ფრეც ჰყოფნიდათ საპატიო პრიზის მოსაგებად. თამაში კარგა ხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ანგარიში მხოლოდ 70-ე წუთზე გაიხსნა, როცა „დნეპრის" თავდამსხმელმა ფედორჩუკმა კარგად გამოიყენა „შახტიორის" მცველთა შეცდომა.

ამის შემდეგ მასპინძლებს კვლავ ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ დონეცკელებმა დასასრულს ძალზე ძლიერად ითამაშეს და როცა მატჩის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, სოკოლოვსკიმ საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

2 მატჩის ჯამში დონეცკის „შახტიორმა" საერთო უპირატესობას მიაღწია (2:1, 1:1) და „სეზონის თასის" მფლობელი გახდა.

სამწუხაროდ, ამ საინტერესო მატჩში დისციპლინა დაირღვა, ომსკელმა მსაჯმა ვ. კუზნეცოვმა რამდენიმე ფეხბურთელი გააფრთხილა, ხოლო დონეცკელთა მცველი ს. პოკიდინი და დნეპროპეტროვსკელთა ნახევარმცველი გ. ლიტოვჩენკო კინკლაობისთვის მინდვრიდანაც გააძევა.

დონეცკის „შახტიორი" თასის მესამე მფლობელია. 1977 წელს „სეზონის თასის" მატჩი თბილისში მოიგო მოსკოვის „დინამომ", რომელმაც ანგარიშით 1:0 დაამარცხა კიევის თანაკლუბელთა გუნდი, შემდეგ, 1981 წელს სიმფეროპოლში ითამაშეს კიევის „დინამომ" და დონეცკის „შახტიორმა", მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს კიეველებმა — 5:4. ამრიგად, ორჯერ გაიმარჯვა თასის მფლობელმა, ერთხელ — ჩემპიონმა.

თბილისის „დინამო" 1978 წელს სსრ კავშირის ჩემპიონი იყო, ხოლო 1979 წელს — თასის მფლობელი, მაგრამ იმ ხანებში „სეზონის თასი" არ გათამაშებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად „დიდ წყალზე"

სოხუმში ამას წინათ გაიმართა ჭაბუკ აფროსანთა ორი რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც 12-დან 18 წლამდე ასაკის 38 სპორტსმენი მონაწილეობდა. აქ შეიკრიბნენ აჭარის, აფხაზეთის, თბილისისა და ფოთის წარმომადგენლები.

ნორჩმა აფროსნებმა ჯერ ძალა სცადეს ე. წ. „გადაჯდომით" ასპარეზობაში, როდესაც ყოველი რბოლის შემდეგ ერთმანეთს უცვლიან ნავებს (სულ 7 რბოლა ჩატარდა). ეს შეჯიბრება ავლენს სპორტსმენთა საერთო ტექნიკური მომზადების დონეს, ეხმარება მათ ახალ, შეუჩვეველ ნავზე ასპარეზობისას საზრიანობისა და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების ჩვევების გამომუშავებაში.

თბილისის ნაკრების მწვრთნელმა დავით ზოდელავამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ მათ ვერც ამჯერად შეძლეს სრული გუნდით ასპარეზობა, თუმცა გარკვეული სასიკეთო ძვრა მაინც შეიმჩნევა: მარშან ორჯონიკიძის რაიონის საბინაო მეურნეობის სამმართველოს კლუბის „ალისფერი იალქნების" შექმნის შემდეგ, რომელიც საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონის გურამ ბიგანიშვილის სახელს ატარებს, „კადეტისა" და „ოპტიმისტის" კლასებში სპორტსმენთა გამოყვანის შესაძლებლობა მიეცათ. ამასთან, თბილისის ნაკრების 12 წევრიდან 8 სწორედ ამ კლუბის წევრია. მიუხედავად იმისა, რომ კუსტბასა და თბილისის ზღვაზე ვარჯიშის შემდეგ ეს ასპარეზობა სპორტსმენთათვის „დიდ წყალზე" ნათლობა გახლდათ, ახალგაზრდა აფროსნებმა ურიგო შედეგები როდი აჩვენეს. მეოთხე და მეხუთე რბოლებში, სამბალიანი ღელვისას, შავი ზღვის ჭირვეულობას შეჩვეულ აფროსნებთან პაექრობაში თბილისელებმა (ლ. ჯიშკარიანი და გ. გოდიბაძე) იმარჯვეს. სხვა კლასებში დაკავებული რამდენიმე საპრიზო ადგილის მიუხედავად, თბილისის ნაკრები ორი შეჯიბრების შედეგების მიხედვით მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა, პირველობა კი აჭარელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. შემდეგ მოდიან ფოთისა და აფხაზეთის გუნდები.

გია ახალაძე.

სურათზე: აფრები სოხუმის აკვატორიუმში.

თენგიზ ჯიშკარიანის ფოტო.

ქალეიდოსკოპი

მაკინროუს მესამე გამარჯვება

ვინც გუშინწინ ტელევიზიით ნახა უიმბლდონის ტურნირის ფინალური ორთაბრძოლა, ალბათ, იფიქრებდა, გამოცდილი, აღიარებული სპორტსმენი ახალბედა ჩოგბურთელს ხვდებაო. სხვათა შორის, ეს მოსაზრება ტელერეპორტაჟის დროსაც გამოთქვა კომენტატორმა, წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა ანა დმიტრიევამ. მართლაც, უიმბლდონის საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ვაჟთა ასპარეზობის ფინალში ერთ მეტოქეს იშვიათად თუ ჰქონია ასეთი აშკარა უპირატესობა მეორის წინაშე.

არადა, ლონდონის გარეუბნის, საჩოგბურთო მექად წოდებული უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ პლანეტის უძლიერესი ჩოგბურთელები, მსოფლიოს პირველი და მესამე ჩოგნები ჯონ მაკინროუ და ჯიმი კონორსი. ეს მათი 28-ე შეხვედრა გახლდათ. წინა 27 ორთაბრძოლიდან 14 მაკინროუმ მოიგო, ხოლო 13 — მისმა მეტოქემ.

ანგარიში ელვის სისწრაფით იზრდებოდა. კონორსმა ვერაფერი მოუხერხა მაკინროუს მოწოდებებს, — მხოლოდ თვალს თუ გააყოლებდა ხოლმე ელვის სისწრაფით მიმავალ ბურთს. როცა კონორსის მოწოდების ჯერი დადგებოდა, მისი ოპონენტი იმდენად ზუსტი, იმდენად ძლიერი და, რაც მთავარია, იმდენად მახვილგონივრული დარტყმებით პასუხობდა, რომ წარმატების არავითარ იმედს არ უტოვებდა თანამემამულეს. წმინდა სპორტულ უპირატესობას თანდათან ფსიქოლოგიურიც დაემატა — რაც დრო გადიოდა, კონორსი სულ უფრო შებოჭილი თამაშობდა, მაკინროუ კი პირიქით — სულ უფრო ლაღად და თავისუფლად მოძრაობდა კორტზე. 32 წლის კონორსმა რამდენიმეჯერ კი სცადა გაბრძოლება, ერთი ორჯერ ლამაზადაც ითამაშა, მაგრამ მასზე 7 წლით ახალგაზრდა მეტოქეს წარბიც არ შეუხრია — ისე გადაჰყავდა ბრძოლა თავისთვის სასარგებლო რიტმში.

ფინალური შეხვედრა საათ-ნახევარსაც კი არ გაგრძელებულა. მაკინროუმ სამივე პარტია იოლად მოიგო (6:1, 6:1, 6:2) და ზედიზედ მეორედ (სულ კი მესამედ) მოიპოვა უიმბლდონის ჩემპიონის წოდება. დონალდ ბაჯის შემდეგ იგი მეორე ამერიკელია, ვინც ასეთ წარმატებას მიაღწია. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამჟამად ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში — მთელი ტურნირის მანძილზე მხოლოდ ერთი პარტია წააგო.

მაკინროუმ წყვილთა ასპარეზობაშიც ყველას აჯობა — თანამემამულე პიტერ ფლემინგთან ერთად ფინალში მოუგო ავსტრალიელთა დუეტს — პეტ კეშსა და პოლ მაკნამის ანგარიშით — 6:2, 5:7, 6:2, 3:6, 6:3.

ქალთა ტურნირი მოიგო მარტინა ნავრატილოვამ (აშშ), რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში სძლია თანამემამულე კრის ევერტს.

თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელებმა ვიქტორია მილვიდსკაიამ და ლარისა სავჩენკომ, რომლებმაც იუნიორთა ასპარეზობაში (წყვილთა თანრიგში) II ადგილი დაიკავეს. ფინალში ისინი უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ კეროლაინ კულმენთან და სტეფანი რისთან (ორივე — აშშ) — 3:6, 7:5, 4:6.

ინტერვიუ დიდოსტატებთან

ევროპის ფეხბურთელთა VII ჩემპიონატს, რომელიც ახლახან დამთავრდა საფრანგეთში, ამ სახეობის ბევრი ცნობილი ოსტატი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ ბრაზილიელი პელე, ესპანელი დი სტეფანო, ფრანგი ფონტენი და სხვანი. გდრ-ის გაზეთმა „იუნგე ველტმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ დასახელებულ სამეულთან. გთავაზობთ ამ საუბრის თარგმანს.

● **რას იტყვით განვლილ ასპარეზობაზე?**

პელე: ფეხბურთი უფრო მოძრავი გახდა. საფრანგეთის ნაკრების თამაშის მანერა უფრო მიმზიდველია, ვიდრე, ვთქვათ, ინგლისის, გფრ-ისა და იტალიის გუნდებისა. მართალია, პირადად მე არგენტინელი მარადონას ქომაგი ვარ, მაგრამ არანაკლები ყურადღების ღირსნი არიან პლატინი და ტიგანა. იმისთვის, რომ ფეხბურთი სანახაობრივად კიდევ უფრო საინტერესო და ლამაზი გახდეს, საჭიროა სიახლე, ახალი წესები. ამჟამად მინდორზე ბრძოლა მეტია, ვიდრე თამაში. სჯობს კი პირიქით იყოს.



● **რა აზრისა ხართ ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირზე — პლატინიზე?**

ფონტენი: მოხარული ვარ, რომ საფრანგეთის ნაკრებში მიზანდასახულმა და მონდომებულმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი. პლატინის წინააღმდეგ ყველა მეტოქე თითქოს საგულდაგულოდ ემზადება, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდით. გასაოცარია, რა ენთუზიაზმით ალანთებს იგი გუნდს, როგორ მოუწოდებს მას შეტევისაკენ. ვფიქრობ, რომ პლატინი ამჟამად უძლიერესია მსოფლიოში. მოედანზე მისთვის მიუღწეველი არაფერია.

● **ხშირად ამბობენ ხოლმე, უწინ უფრო ლამაზად თამაშობდნენო...**

დი სტეფანო: ჩვენ უფრო ხალისიანად ვთამაშობდით. ახლა მთავარი ყურადღება ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებას ექცევა, ხოლო ტექნიკურმა მხარემ უკანა პლანზე გადაინაცვლა. მომეწონა საფრანგეთის ნაკრები, რომელიც შემტევ, სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა. მე პლატინი და მარადონა თანაბარი ძალის ოსტატებად მიმაჩნია. ორივე შესანიშნავი ფეხბურთელია.



● **რა მიგაჩნიათ ჩემპიონატის ყველაზე დიდ სენსაციად?**

პელე: ყოფილი ევროპის ჩემპიონის — დასავლეთ გერმანიის ნაკრების წარუმატებლობა. მათი ლიდერის — რუმენიგეს ესოდენ ულიმღამო თამაშს არ მოველოდი.

● **რა აზრისა ხართ სამხრეთული ფეხბურთის დღევანდელ დონეზე?**

დი სტეფანო: საფრანგეთის სტადიონებზე ესპანეთისა და პორტუგალიის გუნდებმა დაამტკიცეს, რომ ტაქტიკური და ფიზიკური თვალსაზრისით უკვე დაიმკვიდრეს ადგილი მოწინავეთა შორის. ჩემი მოსაზრების დასტურად გფრ-ესპანეთისა და საფრანგეთ-პორტუგალიის შეხვედრებს დავასახელებდი. დაუმატეთ ამას ტექნიკა და... თქვენი შეკითხვის პასუხიც ეს იქნება.

გერმანულიდან თარგმნა
მალხაზ რადიანმა.

გამარჯვება ესპანეთში

საბჭოთა კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ყველას აჯობა მადრიდში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში. სტარტზე შვეიცარიელებთან გამარჯვების შემდეგ (26:17) საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს ალჟირის ნაკრები ანგარიშით 31:18. მესამე ტურში მსოფლიო ჩემპიონებმა შვედებთან წააგეს (19:22), მაგრამ ფინიშზე კიდევ ორი მატჩი მოიგეს: აშშ-ის ნაკრებთან ანგარიშით 36:15 და ტურნირის მასპინძლებთან — 22:21.

II და III ადგილები გაიყვეს ესპანეთისა და შვეციის წარმომადგენლებმა. შემდეგ მოდიან აშშ-ის, შვეიცარიისა და ალჟირის გუნდები.

„ვეტეროკის" პირველი გამარჯვება

ვლადივოსტოკის საკრეისერო იახტა „ვეტეროკმა" პირველმა მოიპოვა გამარჯვება იაპონიის ზღვაზე გამართულ საერთაშორისო რბოლაში. ეკიპაჟმა, რომელიც მთლიანად შორეული აღმოსავლეთის საზღვაო სანაოსნოს მეზღვაურებით იყო დაკომპლექტებული, ყველას აჯობა ნახოდკიდან ოტარუმდე (კუნძული ჰოკაიდო) გადაჭიმულ ტრასაზე.

II ადგილი ხვდა ნახოდკის იახტას „კაპიტან გრიშინს". შემდეგი თერთმეტი ადგილი იაპონელებმა გაინაწილეს.

პირველობდნენ მასპინძლები

ვიიტანაში (ესტონეთის სსრ), ერთ ულამაზეს ტყის ტბაზე, დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალქვეშ ორიენტირებაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — ესტონეთის სპორტსმენებმა. პირად ჩათვლაში პირველნი იყვნენ ტალინელები აინა ლეიკი და ანატოლი დალიდოვიჩი.

ქალეიდოსკოპი

მკითხველი— გაზეთი

პატივცემულო რედაქცია! გვაინტერესებს, ტარდებოდა თუ არა საკავშირო ჩემპიონატები 1920 წლამდე? როგორც ჩვენ ვიცით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა პირველად მძლეოსანმა ვაჟებმა გაითამაშეს. რამდენად სწორია ეს? კიდევ ერთი თხოვნა: ვინ იყვნენ სსრ კავშირის პირველი ჩემპიონები?

ელგუჯა რთველიაშვილი,
ვაჟა კეკელიძე,
ვახტანგ ნოზაძე,
თბილისი.

1920 წელს მართლაც ჩატარდა მძლეოსან ვაჟთა პირველი საკავშირო ჩემპიონატი, მაგრამ მანამდე უკვე ცნობილი იყვნენ ჩემპიონები ციგურაობასა და სათხილამურო რბოლაში, ასე რომ, მძლეოსან ვაჟთა შეჯიბრება საკავშირო ჩემპიონატების ციკლში რიგით მესამეა.

სსრ კავშირის პირველი ჩემპიონია მოსკოველი მოციგურავე იაკობ მელნიკოვი (1896-1960 წწ.). ეს ტიტული მან მოიპოვა 1918 წელს. მელნიკოვს, სხვათა შორის, ჰქონდა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის № 1 სამკერდე ნიშანი. იგი მოსკოვის „ტორპედოს" სახელით გამოდიოდა. იყო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი მრავალჭიდში (1923 წ.), ორჯერ მოიგო მუშათა მსოფლიო ჩემპიონატი (1927 და 1929 წწ.). საკავშირო ჩემპიონატებში სხვადასხვა დისტანციაზე 33-ჯერ იყო პირველი.

1919 წელს გათამაშდა საკავშირო ჩემპიონატი თხილამურებით რბენაში (25-კილომეტრიან დისტანციაზე). პირველი ადგილი დაიკავა მოსკოველმა ათლეტმა ვლადიმერ სერებრიაკოვმა.

1920 წელს ჩატარდა მძლეოსან ვაჟთა პირველი ჩემპიონატი, სწორედ ის ტურნირი, რომელზეც თქვენ გვწერდით. პირველობა გათამაშდა მხოლოდ რვა სახეობაში. საუკეთესო შედეგი ჰქონდა მოსკოველ ალფრედ ბირზინს, რომელმაც მოიგო ოთხი სახეობა: რბენა 100 (11,6) და 400 (54,4) მეტრზე, თარჯრბენი 110 მეტრზე (17,1) და სიგრძეზე ხტომა (602 სმ). სხვა ოთხ სახეობაში უძლიერესნი იყვნენ რბენაში 5000 მ — ნიკოლოზ ბოჩაროვი (17.12,4); 10000 მ — ივანე დობიჩინი (37.32,5); სიმაღლეზე ხტომაში — სერგეი ნაზარეტოვი (160 სმ) და ჭოკით ხტომაში — ალექსანდრე პოლე — 290 სმ. (ყველა — მოსკოვი).

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; კადრების — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 ~~22~~
უე 09854